სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

65909536887425

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N251703981

რეგისტრაციის თარიღი

15.12.2025 წ

ნოტარიუსი: ნინო გელაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი #2, სართული #2

ტელეფონი: 591701134

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამონმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი
საქართველო

ორი ათას ოცდახუთი წლის თხუთმეტ დეკემბერს, მე, ნოტარიუს ნინო გელაშვილს ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე, ქ. თბილისი ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი #2, სართული #2-ში, მომმართა **შპს ას ჯორჯია-ს** (რეგისტრირებული: 18/01/2010 წელს, საიდენტიფიკაციო #406024270, იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ისნის რაიონი, შოთა ნადირაშვილის ქუჩა, N24, კომერციული ფართი 1) დირექტორმა **გიორგი ჭაჭიაშვილმა**. მან განაცხადა, რომ სურს მინდობილობის შედგენა და ამ მინდობილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად **გიორგი ჭაჭიაშვილმა** (დაბ. 19.05.1962 წ, რეგ. საქართველო, ქალაქი თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი, N 55, კორპუსი 1, ბინა 21, პ/ნ 01007009268) მომმართა. მე შევამოწმე **გიორგი ჭაჭიაშვილის** უფლებამოსილება, იგი უფლებამოსილია წარმოადგინოს **შპს ას ჯორჯია** თანახმად ამონაწერისა სამეწარმეო რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B25126030, 05/09/2025 12:04:31, რომელიც დღეის მდგომარეობით ჩემს მიერ გადამოწმებულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს http://public.reestri gov.ge საიტზე. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ შევადგინე მინდობილობა, რომელიც წავუკითხე და განვუმარტე მას. მან მკაფიოდ და ნათლად განაცხადა, რომ მინდობილობა ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორი ათას ოცდახუთი წლის თხუთმეტი დეკემბერი. შპს ას ჯორჯია-ს (რეგისტრირებული: 18/01/2010 წელს, საიდენტიფიკაციო #406024270, იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ისნის რაიონი, შოთა ნადირაშვილის ქუჩა, N24, კომერციული ფართი დირექტორმა **გიორგი ჭაჭიაშვილმა** (დაბ. 19.05.1962 წ, რეგ. საქართველო, ქალაქი თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი, N 55, კორპუსი 1, ბინა 21, პ/ნ 01007009268), რომელიც შემდგომში მოხსენიებულია, როგორც „მიმნდობი", **ნიკოლოზ ნაკაშაშვილს** (დაბ. 22.04.2003წ. რეგისტრირებული: საქართველო, ქალაქი თბილისი, ჟიული შარტავას ქუჩა, N 45ა, ბინა 42, პირადი #01024089445), რომელიც შემდეგში მოხსენიებულია, როგორც "მინდობილი პირი" მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება: "მინდობილი პირი" უფლებამოსილია სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში **დაარეგისტრიროს** შპს „ას ჯორჯია" - ს ნებისმიერი უძრავი ქონება, მოახდინოს უძრავი ქონების განშლა და რეგისტრაცია, როგორც ინდივიდუალური ბინების, ისე კომერციული ფართების, ნებისმიერი ობიექტის რეგისტრაცია, დაარეგისტრირის განშლები, ჩააბაროს შესაბამისი დოკუმენტაცია (განშლის ოქმი და ა.შ), მიანიჭოს საკადასტრო კოდები; ამასთან დაკავშირებით წარმოადგინოს და დაიცვას „მიმნდობის" ინტერესები ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციებთან, მესამე პირებთან ურთიერთობაში, მათ შორის: იუსტიციის სახლში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში, მერიაში, გამგეობაში, არქივში და სხვა შესაბამის დაწესებულება-ორგანიზაციებში ჩააბაროს და ხელზე მიიღოს ამონაწერი, ცნობები, მოწმობები და სხვა, ხელი მოაწეროს შესაბამის დოკუმენტაციას, მათ შორის დაარეგისტრიროს განშლები, მიანიჭოს უძრავ ქონებებს საკადასტრო კოდები და შეასრულოს ყველა ის მოქმედება რაც უკავშირდება აღნიშნულ დავალებას. ამ უფლებამოსილების განსახორციელებლად „მინდობილი პირი" უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები, შეასწოროს ხარვეზი, დააზუსტოს ფართები, გააკეთოს აზომვითი ნახაზი, დაარეგისტრიროს უძრავი ქონება ჩატარებული აზომვითი ნახაზების შესაბამისად, მოითხოვოს ნებართვა, გააკეთოს ახალი აზომვითი ნახაზი, შეიტანოს ცვლილებები საჯარო რეესტრის რეგისტრირებულ მონაცემებში, დააზუსტოს ფართები, მოაწეროს ხელი შესაბამის დოკუმენტაციას და შეასრულოს ნებისმიერი სხვა საჭირო მოქმედება, რაც დაკავშირებულია აღნიშნულ დავალებასთან, საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული ყველა უფლებით.

<u>მინდობილობა გაცემულია განსაზღვრული ვადით და ძალაშია ორი ათას ოცდაექვსი (2026) წლის თხუთმეტი (15) დეკემბრის ჩათვლით.</u>

წინამდებარე მინდობილობა შედგენილია სამ (03) თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუსის სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა "მიმნდობს".

ამ მინდობილობის იმ ეგზემპლარს, რომელიც ინახება სანოტარო ბიუროს არქივში აქვს დანართი შემდეგი დოკუმენტი: ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B25126030, 05/09/2025 12:04:31, ს/ნ 406024270

„მიმნდობმა" გადაიხადა ნოტარიუსის საზღაური: ოცდაათი (30) ლარი თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურეობის ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი, 2011 წ. #507) 31-ე მუხლისა, აგრეთვე ხუთი (05) ლარი თანახმად საქართველოს მთავრობის (29 დეკემბერი, 2011 წ. #507) დადგენილების 39-ე მუხლის I პუნქტისა, ელექტრონულ სანოტარო რეესტრში რეგისტრაციისათვის და საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის საფუძველზე დ.ღ.გ. – ხუთი (05) ლარი და ორმოცი (40) თეთრი, ჯამში: ორმოცი (40) ლარი და ორმოცი (40) თეთრი.

მიმნდობი: _____

ნოტარიუსი _____ /ნინო გელაშვილი/

ნინო გელაშვილი * GELASHVILI * GEORGIA * ნოტარიუსი